

კ. მანუჩარიანი

# თხა და მისი

სასწრაგლო და საგაურნალო

# რძე



თხა და მისი

წიგნისათვის

სტამბა ალ. ყობრედიას

1916 წ.

# თ ხ ა დ ა მ ი ს ი

## სასარგებლო და სამკურნალო რძე.

ჩვენ სიყრმიდან ვეჩვევით სხვა და სხვა გვარ შინაურ ცხოველებს, მაგრამ ბევრმა ჩვენგანმა არც კი ვიცით, რომელი მათგანი უფრო სასარგებლოა. მთელი ქვეყნის ყველა სპეციალისტები და გამოცდილნი ერთხმად აღიარებენ, რომ თხა მეტად სასარგებლო შინაური ცხოველია. მარგებლობით და სამკურნალო თვისებით თხის რძეს უპირატესობას აკუთვნებენ სხვა და სხვა მეწველ საქონელის რძესთან შედარებით. თვით ძველმა ისტორიულმა ხალხებმაც დაკვირვებით იცოდნენ ეს და დიდათ აფასებდნენ თხას. ლეგენდარული გადმოცემაა, რომ ძველი საბერძნეთის ღმერთი იუპიტერი თათქოს მშვენიერი თხის „ამალტეიას“ რძით აღეზარდოთ. არამც თუ საბერძნეთში, არამედ სხვა ძველ ქვეყნებშიაც კი, მართლაც, თხა პირველი ცხოველი იყო, რომლის რძით უმეტესად სარგებლობდნენ ადამიანები სპარსეთში, საბერძნეთში, მიდიაში, ასურეთში, ქალ

ღვეწოთა შორის და აგრეთვე სხვა ძველ ქვეყნებში ჩველი ბავშვების რძით კვებაში დედის ადგილი ეჭირათხას. ინდოეთის, ეგვიპტის და ხმელთა - შუა ზღვის პირის მცხოვრებლები ეხლაც სარჯებლობენ თხის რძით. რომაელებსაც დიდ პატივისცემაში ჰყავდათ ეს ცხოველი. წარჩინებული რომაელთა პოეტი ვირგილიუსი დიდს ხოტბა-ქებას უძღვნიდა თავის ნაწარმოებში იმ თხებს, რომელნიც სალამ-სალამობით მოდიოდნენ საბალახოდან საჩიხეებში რძით დატვირთული ჯიქნებით. სხვა და სხვა ისტორიული ხალხები მსხვერპლად თხებსა სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს, რათა მათ მოწყალება მოეღოთ მათდამი თავიანთი ცოდვების შესანდობლათ და მისატევებლათ. ებრაელები თხებს ინახავდნენ და ყოველ წლივ ადათ-ჩვეულების მიხედულებით, ვითომც თვითოეულ თხას აჰკიდებდნენ თავიანთ ცოდვებსა და შემდეგ განდევნიდნენ მას უდაბურ ადგილს, რომ იგი შიმშილით მომკვდარიყო. თხის ამგვარი სიკვდილი მათის აზრით ნიშანი იყო მათი ცოდვებიდან განთავისუფლებისა.

არა თუ უბრალო ხალხი, არამედ მეფე დიდებუ-

ლნიც დიდის პატივით ეპყრობოდენ და აფასებდენ თხებს. საფრანგეთის მეფე კარლოს პირველი სასტიკად მოითხოვდა თავის ქვეშევრდომთაგან, რომ მათ წარედგინათ მისთვის ვრცელი უმეტნავლო და კეთილსინდისედი ანგარიში თხების შესახებ. ანგარიში უშიუნდა აღენიშნათ თვითდაკლული თხების რაოდენობა, რამდენი იყო ტყავი, რქა და დამარილებული თხის ხორცი.

ბევრი ამბობენ, რომ თითქოს თხა აფუჭებდეს ბალსა, ვენახსა და საზოგადოთ ყოველ-გვარ მცენარეულობას. ბურგუნდიაში (საფრანგეთის ნაწილია, სადაც მოდის მშვენიერი ღვინო). აქამოდე არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ ვითომც თხამ ასწავლაო ადამიანს ყურძნის მარცვლის ქამა არა ერთხელ შეუნიშნავთ ძველად ბურგუნდიის მცხოვრებთ, რომ ყურძნის ვაზი, რომელსაც მიჰკარებია თხა, უკეთესად იბამდა და უფრო კარგ ღვინოს იძლეოდა თურმე. „აი აქედან არის წარმომდგარი ყურძნის ვაზის გასხელო“, ახლაც ამბობენ ხოლმე იქაურები. თუ თავის ნებაზე მიუშვებთ განხარი, ძროხა, ცხვარი, ღორი და სხვა და სხვა ში

ზაური ფრინველები კი არ აფუჭებენ ბაღს, ვენახს  
კოსტანსა და ყანას? მაშასადამე საჭიროა სათანადო  
მოვლა, როგორც სხვა შინაური ცხოველებისა და  
ფრინველებისა, ისე თხისა, რომ მან ზარალის მა-  
კიერ სარგებლობა მოუტანოს პატრონს. და ეს მით  
რმეტეს, რომ თხას ღარიბი გლეხის ოჯახში თით-  
ქმის ძროხის ადგილი უჭირავს. ძროხა სიდიდით  
რუმცა მეტია თხაზე, მაგრამ კარგი ჯიშის თხა მეტ  
რძეს იძლევა ვიდრე ძროხა. საზღვარ გარეთ, მაგა-  
ლითად შვეიცარიაში, კარგი ჯიშის თხა იძლევა  
წელიწადში 800 ან 900 ლიტრა რძეს. საჩუკეთესო  
ჯიშის ძროხა წელიწადში იძლევა თუმცა 2000 ან  
2900 ლიტრა რძეს, მაგრამ მათი ტანი და წონა  
რომ შევადაროთ ერთხანეთს, ძროხა უნდა იძლეო-  
დეს რვაჯერ და ათჯერ მეტ რძეს თხასთან შედა-  
ბიი. აქედან აშკარად სჩანს, თუ რომელი მათგანი  
უფრო რძიანი ცხოველია. ამასთან ისიც უნდა მა-  
ვილოთ მხედველობაში, რომ თხის რძე უფრო სუ-  
ბუქი, უფრო ადვილი ნოსანელებელი და უფრო  
ხრვებელია. თან იგი უფრო ნოყიერია, რისგამოც  
ქვეტის-მეტად უზღება ადამიანს. კიდევ ერთი უმთავრეს

და უპირატესი თვისება თხის რძისა ის არის, რომ ისა  
სალია. არავითარი მავნებელი შიგ არა მოძევა-  
ეს-კი აიხსნება მით, რომ არავითარი ქიმი და სწ  
ულება არ ეკარება თხას. რომ ეს ასეა, ამას გვი  
ტკიცებს სხვა და სხვა ქვეყნების სტატისტიკუ  
ცნობები. მაგალითად: 1904 წ. ეგვიპტეში ქირ  
გასწყვიტა 150,000 ხარი და ძროხა. თხების ჯოგ  
ბი კი გადარჩენ უვნებლად. მათ ქირი არ მიჰკარებ  
ამიტომ თვით თხის რძე უვნებელია და მისგან  
რის შეყრა არ შეიძლება. მეორე უმთავრესი თ  
სება თხის რძისა ის არის, რომ მასში არავითა  
ქლექის ბაცილები არ მოიძევა. ამიტომაც თამამ  
შეგიძლიათ ისარგებლოთ მით, თუნდა უღუღარ  
თაც. საფრანგეთში შეამოწმეს 130,000 თხა  
ბელგიაში 241,045. ამ შემოწმებით დამტკიცდ  
რომ არც ერთ მათგანს არავითარი ქლექის სწე  
ლების ნიშნები არ აღმოსჩენია. მაშასადამე თხ  
რძე თამამად და უშიშიშრად შეგვიძლია ვიხმარო  
იმ ძუძუ-მწოვარა ბავშვების აღსაზრდელათ, რომე  
ნიც მოკლებულნი არიან მშობელი დედის ძუძ

რძესა. სტატისტიკურად დაიტკიცებულობა, რომ არა  
ხოუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ წარჩინებულ და გა-  
ნათლებულ ქვეყნებშიაც კი საბრალო ძუძუ-მწო-  
ხარა ბავშვების სიკვდილი შეადგენს 50—60 პრო-  
ცენტსა. და ეს უმთავრესად ხდება იმის გამო,  
რომ დედების 65 პროცენტი მოკლებულნი არიან  
თავის რძესა. ძუძუ გამშრალნი არიან ისინი, რა-  
იაც სხვა და სხვა მიზეზები აქვს და რის გამოკვლე-  
ვასაც არ შევუდგებით, რადგანაც შორს წაგვიყვანს.  
ამიტომ ამდენ უდედის რძეთ დარჩენილ ბავშვე-  
ბისათვის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს თხის რძე-  
თა, ადვილი ასახსნელია. ეს მით უმეტეს, რომ  
უნლა ყველა დარწმუნებულია, რომ ბავშვების სა-  
კვებათ ძროხის რძეს არ შეუძლია დაიჭიროს დედა  
კაცის რძის ალთაგი. თავისი ყოველ-გვარი თვისე-  
ზით ეს შეუძლია მხოლოდ თხის რძეს. იმავე სტა-  
ტიკით დამტკიცდა, რომ საფრანგეთის მრავალ  
ქალღებში ძროხების 50 პროცენტს აღმოაჩნდა  
ქლექის ნიშნები. გერმანიაში კი, სახელდობ ქალაქ  
ჰერლინში ეგ პროცენტი ავიდა 80-ამდე. წარჩინე-  
ბულმა მეცნიერმა პროფესორებმა თავიანთის გამო-

კვლევებით დაამტკიცეს, რომ აღუღებასაც არ შეუძლია დახოცოს და გაანადგუროს სრულიად რძეშეყველა ქლეკის მამრავლებელი ბაცილები.

ეხლა ძალიან ბევრგან ყრმებსა და ძუძუ-მწოვარა ბავშვებს ზრდიან მოუღუღებელი თხის რძით. მაგრამ ამასთან გასაოცარი და შესანიშნავი ის არის, რომ ყმაწვილები შეაჩვიეს პირდაპირ თხის ძუძუების მოწოვნას. ამას ის უპირატესობა აქვს, რომ აჩვევარი მწოვით რძეს აღარ აკლდება თავისი ბუნებრივი სითბო და მისი მარგებელი სამკურნალო თვისებანი.

სწავლული და მეცნიერი პირებისაგან შემოწმებულია, რომ თხა ხმარობს საქმელად 449 სხვა და სხვა გვარ მცენარეულობას, რომლებშიაც ურავია ბევრი სხვა და სხვა გვარი სამკურნალო მცენარეები. ამიტომაც, რომ თხის რძე ძალიან ჰრგებს და დიდ საშვალებას აძლევს იმ აღამიანებს, რომელნიც ავით არიან ქლეკით. აგრეთვე ჰრგებთ იმათაც რომელნიც მოხუცებულობისაგან მოკლებულნი არიან შესაფერ ძალ-ღონეს.



შვეიცარიისა და სხვა და სხვა ქვეყნების ქალაქებში ავათმყოფებს უმეტესად კი ქლექიანებს სახლის მოსანელებელ საშვალებათ აძლევენ თხის რძეს. იყო მაგალითი, რომ ქლექით მძიმე ავათმყოფნი დიდათ იტანჯებოდენ შიმშილით, რადგანაც ხთი სტომაქი არ ღებულობდა არავითარ საქმელსა არც ძროხის რძესა. როდესაც მათ მიაღებინეს თხის რძე და დაუკვირდენ, მაშინვე შეატყვეს მას ამკურნალო თვისებები. თუ გნებავთ, რომ პავშინი ამოვიდეს უჭირვეულო, ჯანსაღი, კარგა ხასიათისა, ჭრვებ აუშლილი და საღ-კბილებიანი, ეცადეთ და ტარაობისას თხის რძეს ნუ მოაკლებთ მას.

ზოგიერთები სჩივიან, რომ თხის რძეს რაღაცაირი სუნის უდისო. კარგი ჯიშის რძეს არასოდეს უდის ცუდი სუნის. მარა ეს სუნის თუ კი ამჩნევთ, უმთავრესად დამოკიდებულია თხის მოვლაზე. თუ წმინდათ ინახავთ თხას და კარგათ უვლით მას, წმინდისი რძეც წმინდა და უხადლო გამოდის. თხსაკვირველია, სადაც მრავალი თხის ჯოგები არის, არავითარი მოვლა მათ არა აქვთ, იქაურ თხას

და მის რძეს შეატყობთ, რაღაც სუნს.

სწავლული პირებისაგან შემოწმებულია, რომ ზეც-  
იყარისა და ისპანიის ჯიშის თხემს არაფრითარი სუნ-  
ია არა აქვთ. საფრანგეთის მრავალ ადგილებში და  
კორსიკაშიც თხის რძით ზრდიან თვით ლომის ღებ-  
კვებსაც: უმეტესად შესანიშნავი კიდევ ის ათი  
რომ თხა, აღზრდილი ძროხის რძით, უპრავლეს შე-  
თხვევაში უნაყოფო, უშვილო გამოდის და თუ იშ-  
ვითა შემთხვევაში წვილი ეყოლება, მაშინ ძუძუ-  
უშრება და რძეს აღარ იძლევა.

საფრანგეთის ხალხი თან და თან მცირდება რი-  
ცხვით. ამის მიზეზი ის არის, რომ საშინლათ შდ-  
ცირდა ისეთი დედა-კაცების რიცხვი, რომლები  
რძეც სავარგისი იყოს ბავშვების საზრდოთ. ამ უბე-  
დურების წინააღმდეგ ჯერ ვერავითარი საშვალე-  
ბა ვერ გამოიგონეს. და რომ ფრანგთა ერის რიცხვი  
იხსნან შემცირებისაგან, სწავლული პირები ერთად  
ერთ რჩევას აძლევენ ფრანგის ქალებს. რომ ნა-  
თავიანთი ძუძუ მწოვარი ბავშვები ასაზრდოონ თხის  
რძით.

ისიც შემოწმებულია, რომ ის ბავშვები, რომელ-

საც ასაზრდოებენ თხას რძით, არ კირვეულობენ,  
ერ აწუხებენ დედას ან ძიძას თავისი ტირილით  
და უზნეურობით. მათ სძინავთ მშვიდათ და მუდამ  
ზარგ გუნებაზე არიან. დედის რძეს მოკლებულ ბავ-  
სებს პირველ ხანებში დედისა და ან ძიძის მაგიე-  
რობას უწევენ ურქო თეთრ კაშეძარას ჯიშის  
ხეხები.

ბავშვების საზრდოთ ხმარობენ ვირის რძესაც.  
ვირის რძეს კარგი თვისება აქვს, მაგრამ ყველას  
არ შეუძლია იყალიოს ვირი და ამასთან აგი არ  
ძლევს იმდენ რძეს, რამდენსაც თხა. ხმარობენ აგ-  
ეთვე ცხენის რძესაც, როგორც, მაგალ., თათრები,  
ტირგიზები და სხ. მარა ძნელია იმდენი ცხენების  
შენახვა, რომ მათის რძით ვისარგებლოთ. იყო  
სეთი მაგალითიც, რომ, როდესაც გასჭირდა დე-  
და-კაცის რძის შოვნა, მაშინ დაიწყეს ძაღლის რძის  
მარება და მართლაც ძაღლი სწევდა დედის მაგარო-  
ბას, რძის მიცემით, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვი-  
თად ხდება. ცხვრის რძე-კი, როგორც შეამოწმეს  
ელ უვარგისი გამოდვა ძუძუ-მწოვარა ბავშვებს სა-

ზრდოთ. თუმცა-კი ყველი ჩინებული გამოდის ცხვრის რძიდან. ვინ არ იცის, თუ რა კარგი ღირსებისაა ჩვენებური თუშური და ოსური ყველები, რასაც ცხვრის რძიდან აკეთებენ.

სახელ განთქმულმა სწავლულებმა პარიეში შეამოწმეს, რომ თხის რძის ხმარებამ ბავშვის სიკვდილის პროცენტი ძლიერ შემცირა. ამასთან იგიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ არც ვირს, არც ცხენს, არც ცხვარს და არც ძროხას, არა აქვთ ისეთი ხანგრძლივი წველა, როგორც თხასა. ისიც დიდათ საყურადღებოა, რომ აუღუღებელი თხის რძე უკეთესი გამოდგა ნაღულარზე. ამასთან მარილისა და რკინის სიჭარბე თხის რძეს აძლევს ისეთ თვისებას, რომელაც დიდათ მარგებელსა ხდის მას ქლექიან და სხვა და სხვა სენით დასუსტებულ ავათმყოფებისათვის. თხის რძემ დიდი შეღავათი მისცა იმათაც. ვინც ცუდი სენით, მაგ., ვენერიული ავათმყოფობით იყვნენ ავათ. ცხადია, რომ თხის რძის უპირატესობასაც თავი გავანებოთ, ძროხის რძის შოვნა არც ისე ადვილია, რადგან ძროხის შენახვა ძვირად ჯდება და თხისა-კი ძლიერ იოლათ.

მთიულ ხალხთა შორის ძრიელ გავრცელებულია ბავშების გაზდა თხის რძით და ყველგან ღმეროს მადლობასა სწირავენ, რომ მათი შვილები ჯან-ლო-ნით აღსავსენი არიან, რომლებმაც არ იციან თუ რა არის კუჭის ტკივილი. შენიშნულია, რომ თხის რძეს ყველაფრის რძეზე მეტი გავლენა აქვს ბავშებზე, რადგანაც მითი კვება მალე ზრდის ბავშებს და წონაშიდაც უმატებს მათ სიმძიმეს. სრულიადაც საჭირო არ არის, რომ თხის რძეს გაურიონ წყალი ან შაქარი, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ თხის წმინდა რძე ბევრათ სჯობია დედა კაცის რძეს. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ თხის რძე ბავშს უნდა ეძლიოს გასსაზღვრული რაოდენობით. დღისით: სამ საში საათის განმავლობაში, ხოლო ღამით ორ ჯერაც კმარა.

გარდა ამისა, თხის რძით აღზრდილი ადამიანი უფრო დიდხანს სძლებს, ვინემ ძროხის და ან დედა-კაცის რძით აღზრდილი, ესე იგი აძლევს ადამიანს დღევრძელობას, ღონეს, მაგარ ძვლებსა და მაგარ კბილებს. ანაირ თვისებას ვერ მისცემს ბავ-

შს ვერც საკუთარი დედის რძე და ვერც ძიძის რძე, რადგანაც მათი სასმელ-საჭმელი არ შეიცავს იმ თვისებებს, რასაც შეიცავს თხის საკვები, რაც ზემოთაც მოვიხსენეთ.

რომის პაპამ ლეონ XIII-მ, თუ ძრიელ დიდხანს იცოცხლა ამას მიაწერენ მას, რომ ის იყო გაზრდილი თხის რძით. ბევრი მაგალითები არის, რომ სუსტმა-უღონო და მოხუცმა ადამიანებმა შეიმატეს ღონე და განაგრძეს თავისი სიცოცხლე თხის რძის ხმარების წყალობით. მოხუცი და უღონო ადამიანები ემსგავსებიან ჩვილ ბავშვებს—მაშასადამე, თუ ამ ჩვილ ბავშვებს უხდება და რგებს თხის რძე, მოხუცებსა და სუსტ ადამიანებსაც აგრეთვე უხდება და ჰრგებს.

წარჩინებული სწავლული რუსი მეცნიერი მეჩნიკოვიც ამტკიცებს, რომ მაწონი ადამიანის სიცოცხლეს ახანგრძლივებსო, მხოლოდ ის არ ამბობს, რომ აფრიკის და აგრეთვე ბოლგარეთისა და კავკასიის მცხოვრებნი მაწონს აკეთებენ უმეტესად თხის რძიდან. რასაკვირველია ძროხის და კამეჩის

მაწონიც მშვენიერია, მაგრამ ვისა აქვს შეძლება, რომ იყოლიოს შესაფერი რიცხვი ამ დიდი ცხოველებისა და ისარგებლონ მათი რძით, ყველით, ერბოთი და მაწონით.

თხა-გი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

ერთმა დედა-კაცმა თხის რძის ხმარებით იცოცხლა 154 წელი (მარიამ პრიუ). მთიელები, თუ ლონიერი, ჯანმრთელი და ჯაფის ამტანი არიან, ეს უნდა მივაწუროთ უძთავრესად თხის რძეს, რომელსაც იგინი ხმარობენ.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ვითომც თხა დიდხანს არ იწვევლებო, მაგრამ შემოწმებულია, რომ თხა იძლევა რძეს 3, 4, წლის განმავლობაში.

ძრიელ გასაკვირია, რომ რძეს იძლევა არა თუ დედალი თხა, არამედ მამალიც, თუმცა-ღა ეს იშვიათად ხდება. ამას ამტკიცებს საბერძნეთის ფილოსოფოსი არისტოტელი, ლეიპციგის პრაფესორი შტო-მანი და თავადი ჟრუსოვი.


გასაოცარია ისიც, რომ თხას არა ვნებს გველის კბენა და მისი თესლი. ალბათ თხის ნერწყვი-

ძრეულ სამკურნალო თვისებისაა. შესაძლებელია ეს იმიტომ, რომ, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ის ხმარობს საქმელად 449 სხვა და სხვა სამკურნალო მცენარეებსა.

გასაკვირია, რომ ამერიკაში, აფრიკაში, სადაც არის ინგლისის კალოხიები და ავსტრალიაში კარგი ჯიშის თხის მოშენება დიდი ხანი არ არის რაც დაიწყეს, მაგრამ ეხლა იქ ყველგან მშვენიერად სწარმოებს თხის მოშენება. ხსენებულ ადგილებში ინსაკუორებულ კურადლებას აქცევენ ანგორის ჯიშის თხას. ჩრდილოეთ-ამერიკაში ანგორის ჯიშის თხის მოშენება დაიწყეს 1849 წ. მას შემდეგ რიცხვი სისტემატურათ იზრდება. 1900 წელში იყო 1,871,252 თხა, ეხლა-კი გაცილებით მეტია. სამხრეთ ამერიკაში პეგუოსის ჯიშის თხა გაჩნდა 1856 წელს. 1902 წლამდე მთლიანად იყო 4 მილიონამდე. ეხლა სდამ გაცილებით მეტია. ისეთ პაწაწინა ადგილებში, როგორიც ავსტრალიაა, 1903 წელს ითვლებოდა 5,232 თხა ეხლა-კი იქაც გაცილებით ბევრია.

ჩვენს კავკასიაშიდაც მრავალი თხის ჯოგებია.

5/2/2  
ანა





ნაწუხაროდ იშვიათად ფიქრობენ მათი პატრონები ზაფიანთი, თხის ჯიშის გაუმჯობესებაზე. თითო კორილა კერძო პირების, და საზოგადოების მაგალითმა, ვინ იცის, გამოაღვიძოს იგინი და შეუდგენ ამ საქმესა.

«ზაასენტალის» ჯიშის თხა (შვეიცარიაში) ტაბად მეტია ყველა ჯიშის თხებზე და წონით  $3\frac{1}{2}$  —  $4\frac{1}{2}$  ფუთამდეა. ამ ჯიშის თხას უყვარს ცხოვრება დაბალ-დაბალ ადგილებში, თუმცაღა მთის ჰაერსაც სარგათ იტანს. თიკნების მოგების შემდეგ იძლევა 1—1 $\frac{1}{2}$  გირვანქა რძეს ყოველ დღე. ამ გვართ წველება იგი მთელი ხუთი თვის განმავლობაში. შემდეგაც, რამდენიმე მათგანი იწველას დღეში — 8 გირვანქა რძეს. ერთის სიტყვით, მრთელს ელაწადში დაახლოვებით 75—78 ვედრო რძეს იძლევა. გამოერევიან ისეთებიც, რომელნიც 100 ვედრო რძესაც იძლევიან.

გერმანიაში საუკეთესო ჯიშის თხებია ალპიისა და ტოგგენბუდგის თხები, აგრეთვე საკსონიისა. შვეიცარიაში შესანიშნავია რძით და გრძელი

ბალნით შავ-კასრიანი ჯიშის თხა. თავი, მკერდი და წინაფეხები დაფარული აქვს შავის ბანლითა დ ტანის სხვა ნაწილი თეთრის ბანლითა. •

ნუბიის ჯიშის თხა ისე მდიდარია რძით, რომ პატრონები იძულებული არიან პაწაწინა ტონსიკებიც ამოუკრან ჯიქნები, ძუძუები, რომელნიც მიწამ დე სწვდება. ძლიერ მშვიდობიანი ზნის არიან ა ჯიშის თხები და რძის გარდა მატყლსაც იძლევიან.

ანგორის და კაშემირის ჯიშის თხები მეტად შესანიშნავნი თავისი ბეწვით და არა რძით. თეთრი ანგორის ჯიშის თხას, რომ შეხედოთ, გეგონებათ რომ თეთრი ქურქი ასხიაო, რადგანაც შემოსილია თეთრი ბეწვით. ანგორის თხის ბეწვისაგან კეთდება ძვირფასი შალეები, ნოხები, თბილი ხელთათმანები და სხვა რამეები. წელიწადში ანგორიდან გააქვთ 6 ათასი ფუთი ბეწვი, რაიცა ღირს 12 მილიონ ფრანკი. ანგორის თხა კარგათ იტანს სიცოცხლს მხოლოდ უფ რთხილდება ნესტიან ადგილებს. ყოველ წლივ იგებს ორ-ორ თიკანს და ექვსი თვი შემდეგ შედის სრულ ასაკში.

კაშემირში 16 ათასი ფეიქარი აკეთებს ყოველ წლივ 80 ათას კაშემირის შალს. კაშემირის შალი ეგოდენ ნაზი და მსუბუქია, რომ შეიძლება ჰავიდეს ბეჭდის რგოლში. ბეწვი კი ცოტა ნაკლებია ანგორის თხისაზე, მაგრამ იგი მეტად რბილია.

ანგორის თხა ეწყობა ყოველ გვარ ჰავას. მისი მოშენება შეიძლება ყოველგან.

რას გვადღევს თხა? რძეს, ყველს, ერბოს, ბორცს, ტყავსა და რქას. ალპიის ჯიშის თხა (შვეიცარიიდან), რომელსაც უწოდებენ „ზაანენტალის“ ჯიშათ, შესანიშნავია მით, რომ დიდხანს იწველება. მისი რძე მსუბუქია, ძრიელ მალე და ადვილი მოსიანელებელია, სუნი არ უდის და ჩვილ ბავშვებისათვის საუკეთესოა, ავთომყოფებსაც მეტის-მეტად უხდება და საზოგადოთ ძალიან მარგებელია.

თხის მოშენებაში პირველი ალაგი უჭირავს საბერძნეთს და შემდეგ-კი სხვა ქვეყნებს. რუსეთს-კი, სამწუხაროდ, ამ საქმეში უკანასკნელი ალაგი უჭირავს.

კავკასიაში კარგი ჯიშის არის დაღესტანის

ვრძელ ბეწვიანი თხა. შეიძლება ამ ჯაშის თხევში  
ერიოს კაშემირას ჯიშის თხის სისხლა. ყარაძას  
თხები არ არიან საქებარი ჯიშისა. ყარკაზჯებს  
ჰყავთ ასურეთულა ჯიშის თხები. ნუბაის (აფრიკის  
ნაწილი) თხაც დიდათ მოსაწონია და პატივცემა-  
შიც არის. რასაკვირველია, უპირველესა ჯიშის  
თხები არიან კაშქმარასა და ანგორას თხები, მაგ-  
რამ მათი მოყვანა და მოშენება აქ ძლიერ ძნელია.  
აი ამისათვის ეხლა რუსეთში და კავკასიაშიდაც გა-  
ნიზრახეს მოაშენონ ის საუკეთესო ჯაშის თხები,  
რომელნიც არიან უმეტესად შვეიცარაშა, შემდეგ  
გერმანაშა, საფრანგეთში, ისპანიაშა, მალტაშა და  
სხვაგან.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ჩვენთვის უფრო  
სასარგებლო იქნებოდა შვეიცარიული „ზანენტა-  
ლას“ ჯიშის თხა. მაგრამ ამგვარი ჯიშის თხის შვე-  
იცარიიდან გამოწერა მეტად ძვირათ ჯდება. ამას-  
თან იყო შემთხვევა, რომ, როდესაც რუსეთიდან  
გამოიწერეს იქიდან შვეიცარიელები გზავნიდენ ან  
სნეულ-ავათმყოფ და ან ბებერ თხებსა.

ენლა-კი რუსეთის მრავალ ქალაქებში და სხვა და სხვა ადგილებში ადვილათ ახერხებენ შვეიცარული „ზანენცალის“ ჯიშის თხების მოშენებას. თითქმის სამოც ადგილას მიჰყვეს ხელი ამ ჯიშის თხების მოშენებას და ყველგან კარგად მიდის ეს საქმე. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ბევრ ალაგას დაარსდა „თხებას მომარეგულეთა საზოგადოებანი“, რომელნიც ყველა მსურველებს ხელმძღვანელობას უწევენ თხების მოშენებაში. ამავე საქმეს დიდათ უწყობს ხელს მოსკოვში არსებული მამონტოვის ფერმა.

როგორც „თხების მომშენებელთა საზოგადოებას“, ისე ხსენებულ ფერმას ადგილობრივ, საზღვარ-გარეთ ჰყავთ მეტად საიმედო აგენტები, რომელთა საშუალებითაც ახერხებენ საუკეთესო ჯიშის თხების გამოწერას.

აქ, ბათუმში-კი, ვისაც უნდა ამგვარი ჯიშის თხის გამოწერა, არ სჭირია დიდი შრომა, რადგანაც თვით ბათუმში დაარსდა „თხებას მომშენებელი საზოგადოება“, რომელიც კისრულობს საუკე-

თესო ჯიშის თხების გამოწერას. ხსენებული საზოგადოების მიზანია მთელ ბათუმის ოლქში და ქუთაისის გუბერნიაში მოაშენოს და გაავრცელოს საუკეთესო ჯიშის თხები. ამ სასარგებლო საზოგადოების თვითოეული წევრი წელიწადში იხდის თითო მანეთს, ან სამუდამოთ ერთ თუქანს. ეს საზოგადოება ცდილობს ეხლავ გამოიწეროს თხები და ხელი შეუწყოს ამ კეთილ საქმეს.

„ბათუმის თხების მომაშენებელ საზოგადოების მიერ“ გამოწერილ თხებისათვის ამზადებენ საკუთარ ფერმას, შესაფერი საქირო მოწყობილობით.

სოხუმში და გუდაუთაში რამდენიმე პირებმა გამოიწერეს საუკეთესო ჯიშის თხები. კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში სხვებიც სცდილობენ მოაშენონ ამგვარი ჯიშის თხები. საქიროა მთელ საქართველოში ყოველგან მიექცეს ამ საქმეს სათანადო ყურადღება. მართალია გურია-სამეგრელოში და ლეჩხუმში ჰყავთ ჩვენებური თხები, მაგრამ მათგან მეტად მცირე სარგებლობა აქვთ პატრონებს. ადამიანი თუ ხარჯს ეწევა სხვა და სხვა შინაურ ფრა-

წველების და ცხოველების შესანახავათ, უნდა სკლი-  
ლობდეს, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა  
ნახოს შიგ. ჩვენში-კი, სამწუხაროდ, ნაკლებ ყურა-  
დღებას ვაქცევთ შინაური ფრინველებისა და ცხო-  
ველების ჯიშის გაუმჯობესების საქმეს.

სტატისტიკით, აი რამოდენი თხა არის ევროპის  
სახელმწიფოებში.

გერმანიაში . . . . .	3,091,287	თხა.
იტალიაში . . . . .	2,800,000	„.
ისპანიაში . . . . .	2,534,219	„.
ავსტრიაში . . . . .	2,035,832	„.
საფრანგეთში . . . . .	1,557,995	„.
საბერძნეთში . . . . .	1,500,000	„.
რუსეთში . . . . .	1,395,000	„.
ბოლგარეთში . . . . .	414,968	„.
ბელგიაში . . . . .	241,045	„.
შვეციასა და ნორვეგიაში . . . . .	214,300	„.

